ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 24
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 11 ივნისი 2019წ

ერთის მხრივ, ააიპ ხულოს მუნიციპალური სერვისის (შემდგომში - „შემსყიდველი“) დირექტორის დიმიტრი შავაძის სახით და მეორე მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“(შემდგომში - „მიმწოდებელი) წარმოდგენილი გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თეიმურაზ დარისპანაშვილის (ბრძანება №190, გაცემული 2018 წლის 16 ნოემბერს, შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია 8 ცალი საბურავი OMSK 12.00-18 K-70 pr8, CPV 34300000

2. ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების პირობები

2.1. ერთეული საბურავის ღირებულება შეადგენს 920 (ცხრაასოცი) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 7360 (შვიდიათასსამასსამოცი) ლარს.

2.3. მიწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს ,,შემსრულებლის'' ყველა ხარჯს, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ–ს.

2.4 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 ივლისის ჩათვლის.

2.5 მიწოდების ადგილი: შპს „თეგეტა მოტორის“ ბათუმის სერვისცენტრი.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, „შემსრულებლის“ მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს“' მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში.

4.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირება.

5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების 0,1 %-ის ოდენობით.

6. საქონლის მიღება – ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება დასტურდება საგადასახადო დოკუმეტაციით. ასევე, „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას „მიმწოდებლისაგან“ „შემსყიდველზე“ და „შემსყიდველის“ მიერ მის მიღებას.

6.2. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, საქონლის მიწოდების ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

7. ხარისხი

7.1 .საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:
ააიპ ხულოს მუნიციპალური სერვისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 448053007
მის: ხულო აღმაშენებლის ქ. 3
ტელ: 598 09 09 63, 551 09 82 24.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

დირექტორი

დიმიტრი შავაძე

KHULO MUNICIPAL SERVICE
Digitally signed by KHULO MUNICIPAL SERVICE
Date: 2019.06.11 16:47:38 +04'00'

„შემსრულებელი“
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5
სს. ,,თიბისი ბანკი''
ა/ა GE80TB0600000024467853
ბანკის კოდი: TBCBGE22

გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თეიმურაზ დარისპანაშვილი

Tegeta Motors LLC
Digitally signed by Tegeta Motors LLC